გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 70

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 202161098) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2011 წლის 01 აპრილს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098) შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, 48 წლის ვადით. ხელშკრულების საგანს წარმოადგენდა სოფელ ტინისხიდში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.44.01.143 ფართობით 228 კვ.მ.

2020 წლის 26 მარტს გორის მუნიციპალიტეტს №03/204 წერილით მომართა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ, რომელიც შემოვიდა თხოვნით მიეცეს უფლება, გაასხვისოს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ გადაცემული ზემოთ არნიშნული აღნაგობის უფლება. წერილს ახლავს 2020 წლის 10 მარტს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს „მპ დეველოპმენტს“ შორის გაფორმებული უძრავ-მოძრავი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლის 1.5 პუნქტით შპს „მპ დეველოპმენტი“ ჩაენაცვლება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2011 წლის 01 აპრილს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებულ აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულებაში.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა

გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებით მინიჭებული აღნაგობის უფლება შპს „მპ დეველოპმენტს“ ს/ნ 404960217 ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098) მისცეს თანხმობა 2011 წლის 01 აპრილს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება, (რომლის საგანს წარმოადგენს სოფელ ტინისხიდში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.44.01.143 ფართობით 228 კვ.მ.) გაასხვისოს შპს „მპ დეველოპმენტზე“ ს/ნ 404960217 აღნაგობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე